ზოგადი სექცია

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი

***თეიმურაზ ადეიშვილი, **ნანა ბერძენიშვილი, ***ელიზბარ ელიზბარაშვილი, *ოლღა მუსხელიშვილი, *იუზა ადეიშვილი**
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი

აბსტრაქტი. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნის პროცესმა საკმაოდ რთული გზა გაიარა. ამ საკითხში დიდია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალისა და საქართველოს ფილიალის მიერ შეტანილი წვლილი, რომლებშიც დროდადრო ხან თავმჯდომარის მოადგილის, ხან თავმჯდომარის პოსტზე ენერგიულად მოღვაწეობდა აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი. სწორედ მისი დაუღალავი და მუხლმოუდრეკელი შრომით არის განპირობებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) ჩამოყალიბება და 31 წლის განმავლობაში პრეზიდენტობა. ეს საკითხები არც თუ მთლად დეტალურადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ეს სტატიაც ამ ხარვეზის შევსების გარკვეულ მცდელობას წარმოადგენს.*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებითა და მასში მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებით, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებისა და შემდეგ საქართველოს ფილიალის შექმნით მომზადდა მყარი საფუძველი ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა შორის უკრაინისა და ბელორუსიის შემდეგ საქართველოში რიგით მესამე მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციის საკითხი, საიუბილეო თარიღს უნდა დართვოდა და იგი 1941 წლის 8 თებერვალს დაუკავშირეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 თებერვლის №183 დადგენილების თანახმად მთავრობა ადგენდა:.

1. ორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია;
2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში გადავიდეს:
   ა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა დაწესებულება;
   ბ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია და ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორია.

3. დამტკიცებული იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურა და წესდება;
4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი ნამდვილი წევრების შემადგენლობა განისაზღვროს 15 კაცის რაოდენობით;
5. დადგინდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრთა შერჩევისა და დამტკიცების შემდეგი წესი:
   ა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობას შეარჩევს სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც თავის წინადადებებს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.
   ბ. კანდიდატებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში წამოაყენებენ სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერ-მუშაკები და ჯგუფები მეცნიერთა იმ რიცხვიდან, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მეცნიერული შრომებით და ჩვენს ქვეყანაში ხელს უწყობენ სოციალისტურ მშენებლობას;
   გ. სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერ მუშაკები და მათი ჯგუფები წამოაყენებენ აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატებს და სათანადო მასალებს წარუდგენენ სამთავრობო კომისიას არაუგვიანეს 1941 წლის 20 თებერვლისა;
6. საქართველოს სსრ მ/ა ნამდვილი წევრობის კანდიდატებზე სამეცნიერო დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ცალკეულ მეცნიერთა ჯგუფების მერ წარმოდგენილი მასალების განსახილველად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო კომისრის გ. კიკნაძის თავმჯდომარეობით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ი. თავაძე, ლ. ყიფშიძე,** აკად. **ნ. მუსხელიშვილი,** აკად. **ი. ბერიტაშვილი,** პროფ. **ს. ჯანაშია,** პროფესორი **გ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე - გ. კიკნაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ფილიალის ყველა 9 დაწესებულება, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გეოლოგიური ინსტიტუტი, ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიური ინსტიტუტი, ფსიქოლოგიისა და ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორია, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტთან ფუნქიონირებდნენ. აკადემიას ასევე გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, ხოლო ფსიქოლოგიის ლაბორატორია მაშინვე სექტორად გადაიქცა.

ჩვენი მიზანი არ არის გამოვიკვლიოთ საქართველოს მ/ა აკადემიის წესდების ორიგინალობა, რომელიც 1941 წლის 10 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. მის ზოგად ნაწილში ვკითხულობთ:

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია არის საქართველოს უმაღლესი სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკის ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერებს. ის უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომელსაც ყოველწლიურად წარუდგება ანგარიში მისი საქმიანობის შესახებ;

2. მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოში თეორიული და გამოყენებითი მეცნიერების საერთო აღმავლობის საქმეს, საბჭოთა და მსოფლიო მაცნიერული აზრის მიღწევების შესწავლასა და განვითარებას. თავის მუშაობაში მეცნიერებათა აკადემია ეცდება გეგმიურად გამოიყენოს სამეცნიერო მიღწევები;

3. მეცნიერებათა აკადემიის ამ ძირითადი ამოცანის შესრულების მიხნით:

ა. თავის მუშაობას მიმართავს ძირითადი მსხვილი პრობლემებისაკენ მეცნიერების ყველა დარგში;

ბ. სწავლობს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეებს და საწარმოო ძალებს, აგრეთვე კაცობრიობის კულტურულ მიღწევებს და ხელს უწყობს მათ დროულ და რაციონალურ გამოყენებას;

გ. ამზადებს მაღალკვალიფიცირებულ სამეცნიერო კადრებს და ხელს უწყობს საქ. სსრ და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ. ემსახურება საქართველოს სსრ უზენაეს სახელმწიფო ორგანოებს სამეცნიერო ექსპერტიზის ორგანიზებით;

4. მეცნიერებათა აკადემია აარსებს თავის შემადგენლობაში კვლევით ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, ლაბორატორიებს, კაბინეტებსა და კომისიებს; მიმართავს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ მისი დაწესებულებები უზრუნველყოფილი იყვნენ მაღალკვალიფიციური მეცნიერული შემადგენლობით და შესატყვისი აღჭურვილობით;

5. მეცნიერებათა აკადემიის მთელი სამეცნიერო მუშაობის საერთო მიმართულების უზრუნველსაყოფად, თანამშრომელთა კვლევითი სამუშაოების შესაძლო სისრულის მისაღწევად და ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან ამ სამუშაოს კოორდინაციის მიზნით, ის იწვევს სესიებს და უზრუნველყოფს სამეცნიერო კავშირებს სსრკ მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან. მ/ა ასევე ორგანიზებას უკეთებს სამეცნიერო-კვლევით ექსპერიმენტებს და აქვეყნებს მისი წევრების და სხვა მეცნიერთა მიერ წარმოდგენილ და მის მიერვე მოწონებულ სამეცნიერო ნაშრომებს;

6. სამეცნიერო კადრების სისტემური მომზადების მიზნით აკადემიასთან იარსებებს სპეციალური ასპირანტურა. ამასთან ერთად მ/ა სისტემატურად იღწვის საქართველოში სამეცნიერო სესიებისა და მოხსენებების მოწყობისთვის, ახალგაზრდა მეცნიერთათვის თავის დაწესებულებებში ადგილების გამოყოფისთვის, პრაქტიკული დახელოვნებისა და ცოდნის სრულყოფისთვის;

7. მეცნიერებათა აკადემია, მისი სისტემის მეცნიერებათა დარგებში წარმოდგენილ სამეცნიერო შრომებში, ანიჭებს კანდიდატის ან დოქტორის ხარისხს, რომელიც ხორციელდება მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მიერ არსებული წესის მიხედვით.

8. მეცნიერებათა აკადემია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მისი ხარჯთაღრიცხვა შესულია საქართველოს ბიუჯეტში [1].

1941 წლის 22 თებერვალს საქართველოს სსრ მთავრობის №247 დადგენილების მიხედვით დამტკიცდა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემდეგი შემადგენლობა:

1. **ნიკოლოზ მუსხელიშვილი** - საკავშირო მ/ა ნამდვილი წევრი.
2. **ივანე ბერიტაშვილი** - საკავშირო მ/ა ნამდვილი წევრი;
3. **გიორგი ახვლედიანი** -საკავშირო მ/ა წევრ-კორესპონდენტი;
4. **აკაკი შანიძე** - საკავშირო მ/ა წევრ-კორესპონდენტი;
5. **გიორგი ხაჭაპურიძე** - საკავშირო მ/ა წევრ-კორესპონდენტი;
6. **კორნელი კეკელიძე** - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
7. **ალექსანდრე ჯანელიძე** - გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
8. **ალექსანდრე თვალჭრელიძე** - პროფესორი, გეოლოგიურ მეცნ. დოქტორი;
9. **გიორგი ჩუბინიშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
10. **კირიაკ ზავრიევი** - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
11. **დიმიტრი უზნაძე** - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
12. **სიმონ ჯანაშია** - ოსტორიულ მეცნიერებათა დოქტორი;
13. **ნიკოლოზ კეცხოველი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
14. **ფილიპე ზაიცევი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
15. **ტარასი კვარაცხელია -** სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი;
16. **არნოლდ ჩიქობავა** - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

1941 წლის 26 თებერვალს საქართველოს მ/ა საერთო კრების ორგანიზაციულ სხდომაზე არჩეულ იქნა აკადემიის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: **ნ. მუსხელიშვილი** (პრეზიდენტი), **გ. ახვლედიანი**, **ივ. ბერიტაშვილი**, **კ. ზავრიევი**, **ნ. კეცხოველი**, **ს. ჯანაშია** (ვიცე-პრეზიდენტი), **ა. ჯანელიძე.** საერთო კრებამ 1944 წლის 6 იანვარს მეორე ვიცე-პრეზიდენტად **ნ. კეცხოველი** აირჩია, ხოლო 1945 წ. 5 ნოემბერს აკადემიკოს - მდივნად - გ. **ახვლედიანი**. რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების 1941 წლის 24 ივლისის დადგენილობით საქ. სსრ მ/ა პრეზიდიუმისა და ორი ინსტიტუტის განთავსებისათვის გადაეცა მერჟანსკის ქუჩის (ახლანდელი პ. ინგოროყვას) №8-ში მდებარე შენობა, რომელიც პარტიის თბილისის კომიტეტს ეკავა.

მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის პირველი თვეები დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას. პრეზიდიუმის დადგენილებით სამეცნიერო დაწესებულებათა თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაისინჯა და ფრონტისა და ზურგის მოთხოვნათა შესაბამისად გადაკეთდა. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან პრეზიდენტის, **ნ. მუსხელიშვილის,** თავმჯდომარეობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ეფექტურ ხელმძღვანელობას უწევდა თავდაცვითი მნიშვნელობის სამუშაოებს [2].

მეორე მსოფლიო ომმა სრულიად ახალი და მნიშვნელოვანი ამოცანები დასვა სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე.

1941 წლის 27 ნოემბერს თბილისში ჩატარდა მეცნიერების წარმომადგენელთა საქალაქო თათბირი, რომელმაც განიხილა ფრონტისთვის სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის სპეციალური საკითხები. თათბირზე მიღებულ რეზოლუციაში ყურადღება გამახვილდა დეფიციტური მასალების და ქიმიკატების დამზადებისთვის ადგილობრივი ნედლეულის, ელექტროენერგიისა და საწარმოო საშუალებათა ეკონომიკური გამოყენების პრობლემებზე. იქვე დაისვა საჭირო დანადგარების ახალი კონსტრუქციების დამუშავების აუცილებლობის საკითხი.

განსაკუთრებულ პირობებში მომუშავე სახალხო მეურნეობის საწარმოებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ საქართველოს მეცნიერული კოლექტივები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფრონტისა და ზურგის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

ომის პერიოდში ქართველ მეცნიერთა ძალისხმევა მიმართული იყო თავდაცვითი მნიშვნელობის პრობლემების დასახვისა და დამუშავებისაკენ, თავდაცვის მოთხოვნილებისათვის ნედლეული რესურსების გამოყენებისა და დეფიციტური მასალების ადგილობრივი ნედლეულით შეცვლისაკენ.

საქართველოს მ/ა კვევითი მუშაობის კოორდინაციის განხორციელებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაციონალური გამოყენების მიზნით აკადემიის პრეზიდიუმთან 1941 წ. 21.08 შეიქმნა საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭო აკადემიკოს **ალექსანდრე თვალჭრელიძის** თავმჯდომარეობით.

ამ საბჭოს ეფექტური მუშაობისა და აკადემიკოსების **ა. თვალჭრელიძისა** და **ა. ჯანელიძის** ხელმძღვანელობით ქართველი გეოლოგების აქტიური მოღვაწეობის შედეგად ომის პირველ ორ წელს ექსპლუატაციაში იქნა გადაცემული სასარგებლო წიაღისეულის 22 ახალი საბადო. რესპუბლიკაში განვითარდა მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი დარგები მოლიბდენის, ვოლფრამის, ვერცხლისწყლის, დარიშხანისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ბაზაზე. ომის პერიოდში ფართოდ გადაიშალა გუმბრინის - იმ დროისათვის ერთადერთი რეაგენტის დამუშავება, რომლის საშუალებითაც ხდებოდა მაღალხარისხოვანი საავიაციო ზეთების, საავიაციო ბენზინისა და სხვა ნავთობპროდუქტების გაწმენდა.

აკადემიკოს **ი. ბერიტაშვილის** ხელმძღვანელობით ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თემატიკა დაუკავშირდა ფრონტის მოთხოვნებს. იქ მომუშავე მეცნიერებმა მეტად ეფექტური დახმარება აღმოუჩინეს ექიმებს სწორი დიაგნოსტიკისა და დაზიანებული ნერვული სისტემის მკურნალობის საქმეში. საკუთარი ძალებითა და აპარატებით მოწყობილმა ელექტროენცეფალოგიურმა და ქრონაქსიმეტრიულმა კაბინეტებმა თბილისის ორ დიდ სამხედრო ჰოსპიტალში დიდი დახმარება გაუწია ნევროლოგიური განყოფილებების კვალიფიციურ პერსონალს.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტში **ალექსანდრე ბაკურაძის** მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად თბილისის ფარმაცევტულ ქარხანაში შეიქმნა სპეციალური საამქრო, რომელიც ამზადებდა ნატურალურ კუჭის წვენს, ის მეტად ეფექტური სამკურნალო საშუალება იყო და მის საქარხნო წესით დამზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ომის პირობებში მომუშავე სამხედრო ჰოსპიტლებისათვის.

ცნობილია, რომ ყუმბარის, ნაღმის, ან ბომბის გასკდომის დროს აღძრული ძლიერი ჰაერის ტალღა, როგორც წესი, იწვევს ადამიანის სიკვდილს, ხოლო თუ ეს ტალღა შედარებით სუსტია, იგი ადამიანის ორგანიზმში იწვევს მძიმესა და ხანგრძლივ, ზოგჯერ უკურნებელ დაზიანებებს, რაც მედიცინაში აღინიშნება ზოგადი სახელწოდებით „კონტუზია“. ომის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ღონისძიებათა გამონახვას, რომლებიც ამ ე.წ. „დარტყმითი ტალღის“ ზეგავლენისაგან დაიცავდნენ მებრძოლებსა და მოსახლეობას. ამისათვის კი აუცილებელი იყო ამ ტალღის ორგანიზმზე გავლენის მექანიზ-

მებისა და მისგან გამოწვეული ცვლილებების ცოდნა. ამ საკითხის ექსპერიმენტული შესწავლა მიზნად დაისახა მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი **ივანე ბერიტაშვილი** [3]. ამ ჯგუფში გარდა ფიზიოლოგებისა (**ა. ბაკურაძე, ს. ნარიკაშვილი, ა. ბრეგაძე**), მონაწილეობდნენ სხვა დარგების სპეციალისტებიც: ბიოქიმიკოსი - **პეტრე ქომეთიანი**, ფიზიკოსი **ელეფთერ ანდრონიკაშვილი,** ჰისტოლოგი **ალექსანდრე ლეჟავა**, პათოლოგ - ანატომი - **არკადი ჯორბენაძე**.

ცხოველებზე ჩატარებული ცდებისა და ადამიანებზე წარმოებულ დაკვირვებათა შედეგად გამოტანილი იქნა მრავალი ისეთი დასკვნა, რაც ხსნიდა კონტუზიის ბუნებას და რამაც საშუალება მისცა მეცნიერებს დაედგინათ ჰაერის ტალღისაგან თავდაცვისა და „კონტუზირებულთა“ მკურნალობის რაციონალური საშუალებები.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ომის დაწყებიდან მოკლე ხანში მიიღო გადაწყვეტილება ქ. ზესტაფონში სპეციალური დანადგარის სასწრაფოდ მშენებლობის შესახებ, რომლის მეშვეობითაც უნდა გამოეშვათ მაღალი ხარისხის მანგანუმი, რაც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა ფოლადის სპეციალური მარკის გამოსადნობად.

აკადემიკოს **რაფიელ აგლაძის** დამუშავებული მეთოდით ელექტროლიზური მანგანუმის მისაღებად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მისივე ხელმძღვანელობით დამონტაჟდა და ამოქმედდა საცდელი დანადგარი, რომელმაც დაიწყო დიდი თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე ამ პროდუქტის გამოშვება საერთოდ **რ. აგლაძეს** დიდი დამსახურება აქვს აკადემიის სისტემაში ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შექმნაში, რომელსაც შემდეგ გამოეყო ტექნიკური პროფილის მქონე რამდენიმე ინსტიტუტი. ბატონი **რაფიელის** ხელმძღვანელობით ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოში მეცნიერული (საინჟინრო) კადრების მომზადებით კუთხით [4].

ომის წლებში ქიმიკოსებმა დაამუშავეს მომწამვლელი ნივთიერებების გამოსავლენი სპეციალური ინდიკატორი, რომელიც, საჭირო რაოდენობით დამზადების შემდეგ, გადაეცა სამხედრო ორგანიზაციებს. ქიმიური ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს სპეციალური შენადნობი ძვირადღირებული და დეფიციტური ბრინჯაოსა და ბარიტის შესაცვლელად, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა საკისრების წარმოებაში.

თავდაცვითი მნიშვნელობის პრობლემური საკითხების დამუშავებაში წარმატებით ჩაერთო ენერგეტიკის სექტორი. აქ შეიქმნა ახალი ტიპის მოძრავი ჰიდროდარტყმითი სადგური, რომელიც საველე პირობებში გამოიყენებოდა მომხმარებელთა წყლით მომარაგების მიზნით.

სექტორის მეცნიერებმა დაამუშავეს ტურბინა, რომელიც წარმოადგენდა მიკროჰიდროელექტროსადგურს და ასევე გამოიყებოდა საველე პირობებში მუშაობისათვის. ანტისეისმური მშენებლობის ბიუროში, რომელსაც გააჩნდა ნაგებობებზე მიწისძვრების ზემოქმედების დიდი გამოცდილება, გადაწყვიტა თბილისში ბომბსაფარებისა და აირთავშესაფარების მშენებლობის პრაქტიკული საკითხები.

თავიანთი მუშაობა დაუკავშირეს თავდაცვის ინტერესებს დარგობრივმა ინსტიტუტებმაც. ომის პერიოდში თბილისის ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაამუშავეს საომარ მოქმედებათა შედეგად დაზიანებული საინჟინრო, სამრეწველო და სამოქალაქო ნაგებობათა გამაგრებისა

და აღდგენის ტიპობრივი გადაწყვეტილებები, შექმნეს მაღალი სიმტკიცის ბეტონები ფორტიფიკაციული მშენებლობებისათვის, დააპროექტეს და დაამზადეს ახალი ელექტროტექნიკური ხელსაწყოები და აპარატები. 1942 წლისათვის აღნიშნულმა ინსტიტუტმა დაამუშავა ცემენტის საავიაციო ბომბების შექმნისა და დამზადების საკითხი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლითონის დიდი დეფიციტის პირობებში.

ქიმიურ-ფარმაცევტული ს/კ ინსტიტუტი, აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, ატარებდა ინტენსიურ სამუშაოებს ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის ბაზაზე სხვადასხვა მედიკამენტებისა და პრეპარატების წარმოების ორგანიზაციისათვის. ქართველმა მეცნიერებმა დაამუშავეს მრავალი დეფიციტური პრეპარატის მიღების ტექნოლოგიური პროცესი. ამ პრეპარატების დიდი ნაწილი განკუთვნილი იყო ფართო მოხმარებისათვის, განსაკუთრებით კი, ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, შეიქმნა: თეთრი სტრეპტოციდი, სულფიდინი, ინსულინი, ბარიუმის სულფატი, ეთერი ნარკოზისათვის და ა.შ.

თავდაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებსა და საწარმოებს დიდი დახმარება გაუწიეს რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა. საქართველოს ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა „ტყვარბეტონნახშირის“ ტრესტის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან ერთად ბევრი რამ გააკეთა სამთო სამუშაოთა მექანიზაციის სრულყოფისა და ნახშირის მოპოვების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის. ინდუსტრიული ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები კონკრეტული დავალებებით გააგზავნეს ტყიბულის მეშახტეების დასახმარებლად. ინსტიტუტის კათედრების მეცნიერებები მუშაობდნენ ფოლადის სწრაფმჭრელის თუჯის საჭრისების შეცვლის, ხსნადი მინის მისაღებად. ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, ტუნგოს წარმოების ნარჩენებიდან ტუნგოს ზეთის მიღების საკითხებზე და სხვ.

ომის პერიოდში, ფრონტისა და ზურგის საჭიროებებთან დაკავშირებული არანაკლები მნიშვნელობის საკითხები წყდება მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, გეოფიზიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა მიმართულებებში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერები, რომლებიც გამოდიოდნენ საჯარო ლექციებით. აქვეყნებდნენ ბროშურებს ქართველი ხალხის ადრეული წარსულიდან; ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომლის მეცნიერ-თანამშრომლები ამუშავებდნენ სოციალური სამეცნიერო თემატიკის საკითხებს, პრაქტიკულ ლოგოპედიურ დახმარებას უწევდნენ „კონტუზიან“ მეომრებს, უშვებდნენ ბროშურებს, რომლებშიც მხილებული იყო ფაშისტური იდეოლოგიის არსი; ფსიქოლოგიის სექტორი სწავლობდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნებისყოფის საკითხი ბრძოლის მომენტში, მეთაურის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მეომართა სიმტკიცე და მათი თავშეკავებულობა, მეორე მსოფლიო ომის გმირული ეპიზოდები და მათი ფსიქოლოგიური ანალიზი და სხვა.

გამოყენებითი ხასიათის კვლევებთან ერთად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მეცნიერების აქტიური მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი იყო მორალური და სულიერი სიმტკიცის, პატრიოტიზმის გრძნობების განმტკიცებისთვის იმ ადამიანებში, რომლებიც უშუალოდ იბრძოდნენ მტრის გასანადგურებლად, ან თავდადებულად შრომობდნენ ზურგში.

წითელი არმიის ჯარისკაცებს მტერთან საბრძოლველად განაწყობდა ქართველი სიტყვის ოსტატები: **გალაქტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, დემნა შენგელაია**, რომლებიც მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები გახლდნენ.

ამ ფართო მოღვაწეობაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ აკადემიკოსები: **გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი**, **ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია**, **არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩიტაია** და სხვ.

1942-43 წლებში ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებული იყო პატრიოტული თემები.

ხაზგასასმელია ასევე ენის ინსტიტუტის მიერ წითელი არმიის საჭიროებისათვის სამხედრო ლექსიკონებისა და ბროშურების გამოცემა, ლექციების წაკითხვა და პოპულარული ნარკვევების შექმნა.

1943 წლიდან 1945 წლის ბოლომდე წაკითხული იქნა 112 ლექცია, მათ შორის 61 საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, ხოლო 51 დედაქალაქში.

1941-1945 წლებში მ/ა-ის 100-მა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ომის დამთავრებისას აკადემიაში და მის სისტემაში მუშაობდა 647 მეცნიერ მუშაკი, მათ შორის 62 მეცნიერებათა დოქტორი და 282 კანდიდატი.

ომში უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს მ/ა-ის აკადემიკოსები და წევრ-კორესპოდენტები: **ვიქტორ კუპრაძე, ანდრია აფაქიძე, რაფიელ დვალი, ვახტანგ მახალდიანი, შიო ნაფეტვარიძე, აკაკი სურგულაძე, ბორის ყურაშვილი, დავით ჩხიკვიშვილი, გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭიჭინაძე, ი. ჯორჯაძე, ვახტანგ ჯაოშვილი** და სხვები.

მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციონირების დასაწყისშივე განხორციელდა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები. 1941 წელს გეოფიზიკის ინსტიტუტში შეიქმნა ფიზიკის სექტორი, რომელიც დაეფუძნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოცემულ ყოფილ ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიას. ამავე ინსტიტუტიდან დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულების სტატუსით გამოეყო ანტისეისმური მშენებლობის ბიურო, რის შემდეგაც გეოფიზიკის ინსტიტუტს ეწოდა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი; ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი გაიყო ორ დამოუკიდებელ ინსტიტუტად: **ნიკო მარის** სახელობის ენის ინსტიტუტად და ისტორიის ინსტიტუტად; ბიოლოგიის სექტორი გარდაიქმნა ბიოლოგიის ინსტიტუტად. იმავე 1941 წელს მ/ა-ს გადაეცა: საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო, ქართული ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“, მუზეუმი - ნაკრძალი „ვარძია“, ბათუმის თევზმეურნეობის სადგური, რომელიც შეუერთდა ბიოლოგიის ინსტიტუტს, სოხუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც შევიდა **ნ. მარის** აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული სასოფლო-სამეურნეო დარგის სამეცნიერო--კვლევით დაწესებულებათა მუშაობის ერთიანი მეთოდური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის გადაწყვეტილებით შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილება, რომელსაც მ/ა-

ის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განყოფილებიდან გადაეცა ბოტანიკის ინსტიტუტი, ხოლო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემიდან - მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტი (თელავი). გარდა ამისა, მ/ა-ის სოფლის მეურნეობის განყოფილების დაქვემდებარებაში გადავიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გორის მეხილეობის საცდელი სადგური ფილიალით და მცენარეთა დაცვის თბილისის სადგური და მემინდვრეობის რამდენიმე საცდელი სადგური. იმავე წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შემადგენლობაში შევიდა **შოთა რუსთაველის** სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

1943 წელს ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი, ფსიქოლოგიის სექტორი და მცენარეთა დაცვის სადგური ინსტიტუტად გარდაიქმნა. იმავე წელს მ/ა-ს გადაეცა თბილისის ბოტანიკური ბაღი, რომელიც მანამდე თბილისის საქალაქო საბჭოს ეკუთვნოდა.

1944-45 წლებში შეიქმნა ახალი ს/კ დაწესებულებები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან - ეკონომიკის ინსტიტუტი (1944წ); მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებასთან - გეოგრაფიის ინსტიტუტი და ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი (ორივე 1945წ); სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილებასთან - სატყეო ინსტიტუტი (1944წ). გარდა ამისა ამ განყოფილებას გადაეცა სოხუმის ბოტანიკური ბაღი (1944წ) და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1944წ). ომის დასრულებისთანავე, 1945 წლის 11 ივნისს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც მეცნიერთა ჯგუფს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რომელთა შორის აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილიც** იყო. ეს მაღალი ჯილდო მას მიენიჭა მექანიკა-მათემატიკის დარგში და განსაკუთრებით კი დრეკადობის თეორიაში ნაყოფიერი მეცნიერული კვლევებისათვის და ასევე ომის დროს გაწეულ უდიდეს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობაში და ახალგაზრდული სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

მართლაც დიდი იყო ბატონი **ნიკოს** მიერ გაწეული სამუშაო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მისი მოღვაწეობა საქართველოს მ/ა პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისთავად უზარმაზარი თემაა და იგი ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. მით უფრო, რომ ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს მისი ნაყოფიერი სამეცნიერო, ორგანიზატორული და პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად. ამ მხრივ, ჩვენ შემოვიფარგლებით, აკადემიის სტრუქტურული სრულყოფისა და მისი დაწესებულებების თანამშრომელთა მძიმე მატერიალური და სულიერი ცხოვრების ტვირთის შემსუბუქებისათვის პრეზიდენტის მიერ გაწეული მუშაობის არასრული ანალიზით.

ახალჩამოყალიბებული მ/ა-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა ბინით უზრუნველყოფის თვალსაზრისით გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს მთავრობის 1941წ 24 ივლისის დადგენილებამ „საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის შენობათა შესახებ“, რომლის თანახმად განხორციელდა აკადემიის დაწესებულებათა ერთ ადგილზე (ძერჟინსკის ქ. N8) თავმოყრა.

ამ პერიოდში საზოგადოებრივ-პედაგოგიური და სამეცნიერო ორგანიზაციული მოღვაწეობის გარდა საგრძნობლად გაიზარდა პრეზიდენტის საზრუნავი, რაც დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომით გზააბნეული აკადემიის თანამშრომელთა საყოფაცხოვრე-

ბო პირობების დაბალ დონესთან. იმ მრავალრიცხოვანი მიმოწერებიდან, რომელნიც არქივებშია შემონახული, ჩვენ მოვიტანთ ზოგიერთს, საიდანაც ჩანს აკადემიის პრეზიდენტის, როგორც ადამიანის თანამშრომლებზე ზრუნვა.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მ/ა -ის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე, ემიგრანტი **ა. ვალფიში** და მის ოჯახზე გაწეული მზრუნველობა. ის თბილისში 1936 წლიდან ცხოვრობდა და მათემატიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი იყო. პროფესორი **ა. ვალფიში** თავისი მეუღლითა და ქალიშვილით აკადემიკოს **ნ. მუსხელიშვილს** ზედამხედველობით სარგებლობდა, მათი საქართველოში ყოფნის პერიოდის მთელ მანძილზე. მოხდა ისე, რომ ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ოქტომბერში **დ. ვალფიშის** საქმე მაშინდელი რეჟიმის პირობებში სასამართლოში მოხვდა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა აკადემიის **ნიკო მუსხელიშვილის** წერილი, რომელიც სრულად მოგვყავს:

„სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამმართველოს უფროსს ამხანაგ ბარანოვს! 1945წ 1 ოქტომბერი.

1945 წლის მარტში **დოროთეა ვალფიში,** რომლის მამა - **არნოლდ ვალფიში** მოწვეული იყო პოლონეთიდან 1936 წელს საბჭოთა კავშირში, სადაც მან მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა და რომელიც ამჟამად საქ. სსრ მ/ა-ის მათემატიკურ ინსტიტუტშია, განაწილების თანახმად უნდა გამოცხადებულიყო ქ. კიევში. **დოროთეა ვალფიში** დაავადებულია ქრონიკული ბრონქიტით, ფილტვების ემფიზემიით და ჯანმრთელობის მდგომარეობით მისთვის რეკომენდებულია სამხრეთში ცხოვრება...

ვითვალისწინებთ, რა **დ. ვალფიშის** ავადმყოფურ მდგომარეობას და მას, რომ იგი ამჟამად მუშაობს სპეციალობის მიხედვით თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში, გთხოვთ გააუქმოთ მისი კიევში სამუშაოდ გაგზავნის განკარგულება და დატოვოთ ის თბილისში, სადაც იმუშავებს სპეციალობით. ამასთან ერთად გთხოვთ, გასცეთ მითითება, რათა **დოროთეა ვალფიშის** მიმართ შეწყდეს აღნიშნული სასამართლო საქმე“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი **ნ.ი. მუსხელიშვილი** [5].

ცხადია, ამ წერილის წამკითხველი დაეჭვდება ერთობ ჩვეულებრივი საქმისადმი ასეთი შუამდგომლობის საჭიროებაში, ისიც საბჭოთა მოქალაქეობა მიღებული იმიგრანტის მიმართ. მაგრამ, იმ რთულ წლებში, როცა მ/ა -ის პრეზიდენტი ვალდებული იყო დისციპლინის განმტკიცების პარალელურად ადამიანების მიმართ გამოეჩინა მზრუნველობა, უფრო უარესიც მომხდარა. ამ კუთხით საინტერესოა გავიხსენოთ ის უცნაური შემთხვევა, რომელიც გადახდა ცნობილ ქართველ მათემატიკოსს, საქართველოს მ/ა ნამდვილ წევრს **გიორგი სევერიანეს ძე ჭოღოშვილს.** მის მიმართ 1941 წლის თებერვალში ასეთი სახის ბრძანება დაიწერა:

ბრძანება N12 საქ. სსრ მ/ა -ის მათემატიკის ინსტიტუტისადმი: მიეთითოს ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს **გ. ჭოღოშვილს** მასზედ, რომ იგი არ გამოცხადდა მისი მოსკოვში 1/XII -40-დან 5/I -41 წლამდე სამეცნიერო მივლინების დროს, მოსკოვის საქ. სსრ წარმომადგენლობაში ჩასვლისა და წამოსვლის რეგისტრაციისათვის.

საფუძველი საქ. სსრ სახკომსაბჭოს 5/II -41წ. №5/210 წარდგინება და მათემატიკის ინ-

სტიტუტის დირექტორის განკარგულება.

მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ვ.დ. კუპრაძე** [6].

კიდევ უფრო მკაცრი იყო ბატონი **გიორგის** სასჯელი სამსახურში დაგვიანებისათვის. ხუთი წუთის დაგვიანებისა და „შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის“, მას 1942 წლის დასაწყისში, როცა მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი **ნიკო მუსხელიშვილი** იყო მკაცრი სასჯელი დაედო, რომელიც ქალაქიდან გასვლასაც უკრძალავდა. კიდევ უფრო გასაოცარია ის საბუთი, რომელიც იმ უმკაცრესი წლების სურათს წარმოგვიდგენს. საქ. სსრ მ/ა -ის სახელით რესპუბლიკის მ/ა-ის პრეზიდიუმის 1944 წლის 13 აგვისტოს სხდომისა და მათემატიკის ინსტიტუტის შუამდგომლობით ასეთი წერილი იწერება:

„მილიციის მთავარი სამმართველოს უფროს ამხ. კ. ნაჭყებიას!

საქართველოს მ/ა-ის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი დოცენტი გიორგი ჭოლოშვილი საკავშირო მ/ა-ის ვიცე -პრეზიდენტის **ა. იოფეს** მიერ ერთი თვითაა მიწვეული ქ. მოსკოვში.

გიგზავნით რა ამასთან ერთად მოწვევის დეპეშას, გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება გ. ჭოლოშვილისათვის ქ. მოსკოვს გამგზავრებისათვის აუცილებელი ნებართვის მიცემის შესახებ.

საქ. სსრ მ/ა -ის ვიცე-პრეზიდენტი **ნ. კეცხოველი“** [6].

აშკარაა, რომ მ/ა -ის პრეზიდენტის აკად. **ნ. მუსხელიშვილის** გვერდის ავლით ასეთი შინაარსის წერილი არ გაიგზავნებოდა, თუმცა წერილზე ხელმოწერისაგან მან თავი შეიკავა, რითაც, ალბათ, სიფრთხილე გამოიჩინა, თუმცა „კანონიერად“ დასჯილ ნიჭიერ მათემატიკოსს გზა „გაუხსნა“.

ბატონი **ნიკოს** ომის პერიოდის მოღვაწეობა მაღალი ჰუმანიზმით ხასიათდება. ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საქართველოს მ/ა -ის რვაათასიანი კოლექტივიც დაირაზმა გერმანულ ფაშიზმთან საბრძოლველად, რაც გამოიხატა კიდეც აკადემიის 1941 წლის საშემოდგომო სესიების ანგარიშებში. მაგრამ ნათლად მოჩანს, რომ აკადემიის დაწესებულებათა მომავალ თანამშრომლებს, რომლებსაც ომის დაწყებამ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოუსწრო, ან მობილიბიზაციის დროს ჯავშანი არ ეკუთვნოდათ, ბატონი **ნიკო** ღიად უწვდიდა დახმარების ხელს.

ეს პირველ ყოვლისა ითქმის იმხანად დოცენტ (შემდეგ საქ. სსრ მ/ა აკადემიკოსის) **ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილის** შესახებ. ომის დაწყების მომენტში. ფიზიკის პრობლემათა ინსტიტუტის დოქტორანტი, მოსკოვში მყოფი დოცენტი **ე. ანდრონიკაშვილი,** ინსტიტუტის ევაკუაციის გამო ჯერ მოხვდა ტ აშკენტში, შემდეგ ყაზანში. ამასთან, მოხუცი და ინვალიდი დედა, ლენინგრადის ბლოკადაში მიუსაფარ მდგომარეობაში აღმოჩნდა (ანდრონიკაშვილის და *ნინო*, სპეციალობით მეტეოროლოგი **ვ. ვოეიკოვის** მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მუშაობდა და ევაკუაციის დროს ლენინგრადიდან გავიდა, ხოლო ავადმყოდი დედის მომვლელი და შინა მოსამსახურე შიშმილობამ იმსხვერპლა). **ე. ანდრონიკაშვილის** დედამ, **ეკატერინე იაკობის ასული გურევიჩ - ანდრონიკაშვილმა** ვაჟიშვილებს მიაწვდინა ხმა. მათ კი ვრცელი თხოვნა წარუდგინეს საქართველოს მ/ა პრეზიდენტს, რათა დახმარებოდნენ მისი უნივერსიტეტელი მეგობრის მეუღლეს და დედას. აკა-

დემისკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა დახმარებისათვის საქ. კომპარტიის პირველ მდივანს ამხანაგ **კანდიდ ჩარკვიანს** მიმართა, რათა **ეკატერინე გურევიჩი - ანდრონიკაშვილი** სპეციალური მატარებლით გამოეყვანათ ბლოკირებული ლენინგრადიდან. შემდეგ ელვა დეპეშებით დაეძებს ძმებს - **ირაკლი** და **ელეფთერ ანდრონიკაშვილებს** ტაშკენტსა და ყაზანში, იყენებს მის მთელ შესაძლებლობას, რომ მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ, როგორც საქ. მ/ა-ში მუდმივ თანამშრომლებად მოწვეულებს [5].

ბატონი **ნიკო** ლენინგრადის ბლოკადიდან საქ. მ/ა -ის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში სამუშაოდ იწვევს პირველ ქართველ ფიზიკოს-დოქტორს **დიმიტრი ღოღობერიძეს,** რომლის სახელზეც 1941 წლის პირველ სექტემბერს გაცემულია შემდეგი ცნობა: „**პროფესორი დიმიტრი ბორისის ძე ღოღობერიძე** მოწვეულია მ/ა -ის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი თხოვს ყველა შესაბამის ორგანიზაციას დახმარება აღმოუჩინოს პროფ. **დ. ღოღობერიძეს** ქ. თბილისში სამუშაო ადგილზე გამგზავრებაში.“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი [6].

ამავე დროსაა მოსკოვში გაგზავნილი, შემდეგი სახის დეპეშა:

„მოსკოვი, ჩისტიე პრუდი 6, რსფსრ სახკომსაბჭო, განათლების სახალხო კომისარიატს!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გთხოვთ ნება დართოთ თბილისის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში სამუშაოდ გადმოვიდეს ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის ასპირანტი **ნიკოლოზ მიხეილის ძე პოლიევქტოვი,** რომელიც თბილისის მუდმივი მაცხოვრებელია. საქ. მ/ა თხოვნაზე, ლენინგრადის უნივერსიტეტის რექტორმა მოითხოვა თქვენი თანხმობა. სასწრაფოდ გვიდეპეშეთ პასუხი მისამართით: თბილისი, ძერჟინსკის 8. მ/ა-ის პრეზიდენტი აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს“ [6].

მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა დაწესებულებათა არქივებში ასეთი დოკუმენტები მრავლად შეგხვდებათ, თუმცა იმდროინდელ რთულ პირობებში ყველა მთხოვნელის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო.

ბატონი **ნიკოს,** როგორც ადამიანის, აკადემიის პრეზიდენტის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აკადემიკოსის დახმარებითა და მზრუნველობით სარგებლობდნენ მისი კოლეგები, ამხანაგები, მოსწავლეები და რიგითი თანამშრომლები ომის დაწყების პირველივე დღიდან, რათა ნიჭიერი და მეცნიერებისათვის თავდადებული ხალხი გადაერჩინა საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევისაგან.

აკადემიის სისტემის ინსტიტუტებისა და დაწესებულებების არქივები საშუალებას იძლევა დადგინდეს იმ ცნობილ მეცნიერთა მიახლოებითი სია, რომლებიც აკად. **ნიკო მუსხელიშვილის** მიერ იქნა გათავისუფლებული არმიაში გაწვევისაგან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მობილიზაციით არმიაში გაწვეულებზე ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა ე.წ. „ჯავშანი“, ურომლისოდაც თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორსაც და სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორ ვ. კუპარაძესაც კი ყირიმის ფრონტის შტაბში გაზეთ „ზოლდატენ ვარჰაიტის“ (ჯარისკაცული სიმართლე) პასუხისმგე-

ბელ მდივნად მოუხდა ორ წელიწადს სამსახური, გასაგები გახდება, თუ რა ძნელი და პოლიტიკურად საშიში შეღავათების მინიჭებას მიმართავდა მ/ა პრეზიდენტი **ნიკო მუსხელიშვილი,** რათა არმიაში გაწვევისაგან გაეთავისუფლებინა ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერ-მუშაკთა რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი. სამედიცინო წიგნაკის, ინვალიდობის მოწმობის, გაწვევის გადავადების, შვებულების გაგრძელების, თავდაცვისათვის მნიშვნელოვან სამეცნიერო-პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობის მოტივით, არმიაში გაწვევასა და ომში უგზო-უკვლოდ დაკარგვას გადაარჩინა მან მრავალი ქართველი მეცნიერი. მათ შორის იყვნენ პროფესორი **დავით გოკიელი** (შემდგომ მ/ა წევრ-კორესპონდენტი), პროფესორი **ილია ვეკუა** (შემდგომ აკადემიკოსი), დოცენტი **ანდრია ბიწაძე** (შემდგომ აკადემიკოსი), დოცენტი **დავით კვესელავა** (შემდგომ პროფესორი), დოცენტი **ილია მირცხულავა** (შემდგომში პროფესორი), პროფესორი **დიმიტრი ღოღობერიძე,** დოცენტი **ვ. გოგოლაძე** (შემდგომში პროფესორი), ინჟინერი **ო. ონიაშვილი** (შემდეგ მ/ა აკადემიკოსი და სხვები).

ხაზი უნდა გაესვას იმ რეალობას, რომ მობილიზაციით არმიაში გაწვეულთა და ისიც მეთაურთა გამოწვევა მოქმედი არმიის რიგებიდან, არც თუ იოლი საქმე იყო. თავისთავად, ეს მტკიცდება პროფესორ **ვ. კუპრაძის** არმიაში გაწვევით, რომლის „დახსნის“ მიზნით ბატონმა **ნიკომ** თხოვნით მიმართა ჯერ საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, ხოლო 1942წ 14 მაისს წერილი გაუგზავნა საკავშირო მ/ა -ის აკადემიკოს-მდივანს აკადემიკოს **ვ. ვოლგინს.**

ასეთი ფაქტების განმტკიცების მიზნით, წარმოვადგენთ საქ. მ/ა-ის ფიზიკისა და გეოფიზიკის ს/კ ინსტიტუტის 1945 წლის 3 მარტის შემდეგ შუამდგომლობას:

„საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. ნ. მუსხელიშვილს.

საქ. სსრ მ/ა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი ამით გთხოვთ, რომ დასვათ საკითხი სსრკ შინსახკომის წინაშე ამხანაგ **გიორგი კონსტანტინეს ძე სულაქველიძის** (შემდგომში პროფესორი, იალბუზზე საბჭოთა ალმის ერთ-ერთ აღმმართველი, სტალინის პრემიის ლაურეატი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილო კავკასიის სამთო გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი) ჯარიდან დაბრუნების შესახებ, ჩვენს ინსტიტუტში სამუშაოდ და ასპირანტურის დასამთავრებლად.

ამხ. **გ. სულაქველიძე** ომის დაწყებამდე ითვლებოდა ჩვენი ინსიტუტის ასპირანტურაში და კურსს ამთავრებდა. 1941წ. იგი გაიწვიეს არმიაში და ფრონტზე დაჭრის შემდეგ იგი ცნობილი იქნა შეზღუდულ ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და ამჟამად იმყოფება შინსახკომის ჯარებში. მას აქვს უმცროსი ლეიტენანტის წოდება.“

ინსტიტუტის დირექტორი **მ. მირიანაშვილი**

სწავლული მდივანი **ვ. აბაკელია** [7].

აღნიშნულ წერილს თან ახლავს ბატონ **ნ. მუსხელიშვილს** რეზოლუცია: „ოფიცერია! გამოწვევა არაა მიღებული“. ე.ი. თუ ომის დასასრულს, მეთაურის არმიიდან გაწვევაზე ასეთი მკაცრი კანონი იყო, მით უფრო, ეს ითქმის 1941-42 წლებზე, როცა ფაშისტები კავკასიას მოადგნენ და ამიერკავკასიის დაპყრობას ცდილობნდენ. ასეთი მაგალითები მრავალია, თუმცა ყველას ამ მოკლე წერილში წარმოდგენა შეუძლებელია.

მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა ბატონი **ნიკო** მაინც ახერხებდა სხვა-

დასხვა ღონისძიებებისა და, კერძოდ, გამოჩენილ მეცნიერთა იუბილეების აღნიშვნას. ასე მოხდა გენიალური ფიზიკოსის, მათემატიკოსისა და ბუნებისმეტყველის **ისააკ ნიუტონის** შემთხვევაშიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვით ინგლისში - **ნიუტონის** სამშობლოშიც კი, მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული ურთულესი პირობების გამო არ აღუნიშნავთ ეს თარიღი. მხოლოდ ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსისა და ბუნებისმეტყველის, საკავშირო მ/ა პრეზიდენტის, ბატონი **ნ. მუსხელიშვილის** მეგობრისა და კოლეგის, აკადემიკოს **სერგი ვავილოვის** პირადი ინიციატივით ქ. მოსკოვში და რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში აღინიშნა ეს თარიღი. ამ საკითხთან დაკავშირებით აკადემიკოსების **ნ. მუსხელიშვილისა** და **ს. ვავილოვის** მოღვაწეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო კოორდინირებული.

როგორც აღინიშნა საქ. მ/ა-ში სრულდებოდა საერთაშორისო დონის კვლევითი სამუშაოები.

ამ კუთხით შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა.

საქართველოში ფიზიკურმა კვლევებმა ფართო განვითარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც 1950 წლის 11 დეკემბერს ფიზიკის ინსტიტუტი გამოეყო მ/ა-ის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტს, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია [4].

ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდა უკვე არაერთხელ ნახსენები ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, შემდგომში საქ. სსრ მ/ა-ის აკადემიკოსი **ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილი,** რომელიც ათწლეულების მანძილზე გახლდათ მისი დირექტორი.

აკად. ე. ანდრონიკაშვილი თავის მოგონებების წიგნში “Начинаю с Эльбруса” (1980), აღწერს აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილთან** 1948 წლის შემოდგომაზე მის შეხვედრას, მოსკოვიდან თბილისში მისი სპეციალური გამოძახების შემდეგ. იგი წერს. „თბილისში დაბრუნების შემდეგ მე სხვა არაფერი მესაქმებოდა თუ პროფესიას არ შევიცვლიდი. ჰელიუმი არ იყო და თუ იქნებოდა, დიდი ხნის შემდეგ. მთელი ახალგაზრდობა პირდაპირ იყო მოწამლული ბირთვული ფიზიკითა და კოსმოსური სხივებით [8].

ცხადია, კოსმოსური სხივებით დაინტერესება ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსიტუტსა და უნივერსიტეტის ახლადგახსნილ ფიზიკა-ტექნიკურ ფაკულტეტზე დამკვიდრებული იყო ამ სამეცნიერო დაწესებულებების ძველი ხელმძღვანელების, მეცნიერ-თანამშრომელთა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აკადემიკოს **ნიკო მუსხელიშვილის** პირადი ინიციატივით. ეს კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, როცა კოსმოსური სხივების შესწავლა დაიწყო მისმა ერთადერთმა შვილმა, ბატონმა **გურამ მუსხელიშვილმა.** იმ დიდ სამზადისზე, რომელიც წინ უსწრებდა ქართველ ფიზიკოსთა იალბუზისა და არაგაწის ექსპედიციებს, წარმოდგენას გვაძლევს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ აგრეთვე ბატონი **ნიკოს** განუწყვეტელ ინტერესს საქართველოში ექსპერიმენტული და, კერძოდ, კოსმოსური სხივების ფიზიკის წარმატებების ფაქტორს.

წარმოვადგენთ შემდეგ დოკუმენტს, რომელიც 1949 წლის 31 მაისითაა დათარიღებული და ლენინგრადში წასაღებად გადაეცა ბატონ **ელეფთერ ანდრონიკაშვილს:**

„საქ. მ/ა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი წარმოადგენს საკავშირო მ/ა იალბუზის კომპლექსურ სამთო ექსპედიციის მიერ მიმდინარე წელს ნალექების ფიზიკურ თვისე-

ბათა გამოკვლევას. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით ხსენებულ ინსტიტუტს ესაჭიროება სპეცაღჭურვილობისა და მასალების შეძენა, რომელთა გარკვეული ნაწილის შეძენა ადგილზე ვერ შევძელით.

გთხოვთ, გასცეთ შესაბამისი განკარგულება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური მომარაგების მიმართ, რათა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის საჭიროებისათვის მის ანგარიშზე წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით, გამოიყოს მოწყობილობანი და მასალები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ.ი. მუსხელიშვილი“**[9].

ეს დოკუმენტი განაცხადდთან ერთად, რომელსაც ხელს აწერდა ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი **მათე მირიანაშვილი,** საქ. სსრ მ/ა-ის იალბუზის ექსპედიციის უფროსი დოცენტი **გიორგი სულაქველიძე, ე. ანდრონიკაშვილს** გაეგზავნა ადრესატამდე მისატანად. უნდა აღინიშნოს, რომ განაცხადში, რომელიც 37 დასახელებას შეიცავდა, ძირითადად მასალები იყო მოთხოვნილი, რაც მასზე მეტყველებს, რომ დასაკვირვებელი ხელსაწყო - დანადგარები ექსპედიციას მანამდეც ჰქონდა მომარაგებული. თუმცა, კოსმოსური სხივების შესწავლისათვის საჭირო გახდა მძლავრი მაგნიტი, რომლის შესახებ არსებობს 1949 წლის 15 ივლისს აკადემიკოსს **ნ. მუსხელიშვილისა** და აკადემიის საფინანსო განყოფილების მიერ გაცემული შემდეგი მინდობილობა:

„ამით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილს** ანდობს დადოს ხელშეკრულება **კიროვის** სახელობის „ელექტრომალის“ ქარხანასთან სპეციალური ხელსაწყოს შესაძენად. აკადემიას გააჩნია ხელსაწყოს შესაძენად აუცილებელი თანხა“ [9].

იალბუზის სადამკვირვებლო სადგურის დიდი მნიშვნელობისა და მისი სამეცნიერო მიმათულებების გაფართოების საკითხი დასმულია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ პრეზიდენტის წერილში, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბატონი **ნიკოს** დამსახურებას საქართველოში საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების საქმეში.

ლიტერატურა

1. მგალობლიშვილი ლ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 1941-2011 წლებში, თბილისი, 2011
2. ეფრემიძე თ. ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი. ქუთაისი, 2010
3. Академия Наук Грузинской ССР. Под редакцией Акад. Е.К. Харадзе. Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1981
4. ადეიშვილი თ., ჯიქია მ., ადეიშვილი მ. საბუნებისმეტყველო მეცნიერების მოკლე ისტორია. ქუთაისი, 2003
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფ. 1, ა. 1, შ.ე. 552.
6. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფ. 1, ა. 1, შ.ე. 3/9
7. სქართველოს მ/ა ცენტრალური არქივი, ფ.1, ა.1, შ.ე. 225 №59-111240

8. Андроникашвили Э. Начинаю с Эльбруса. Тбилиси, Мецниереба», 1981
9. საქართველოს მ/ა ცენტრალური არქივი, ფ.1, ა.1, შ.ე. 931

Academician Niko Muskhelishvili, First President of the Georgian Academy of Sciences

Teimuraz Adeishvili, Nana Berdzenishvili, Elizbar Elizbarashvili, Olga Muskhelishvili, Iuza Adeishvili

SUMMARY

The article describes the rate difficult path of the establishment of the Georgian academy of Sciences and the role of its first president Academician Niko Muskhelishvili in this patriotic activity.